

საქართველო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სასწავლო უნივერსიტეტი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



ვამტკიცებ

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის

სენატის გადაწყვეტილება №5/8 04.04.2018

რეგისტორი _____ ი. შარაბიძე



პლაგიატის პრევენციისა და რეაგირების წესი

ND 2-O26

შეთანხმებულია

იურიდიული და ადამიანური მართვის

დეპარტამენტის უფროსი _____ რ. ყიფიანი

შემუშავებულია:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი _____ ლ.ჯაყელი



შინაარსი

1.	ნორმატიული ბაზა -----	3
2.	გამოყენებული ტერმინებისა და შემოკლებების განმარტება -----	3
3.	ძირითადი დებულებები -----	5
4.	გავრცელების არე -----	7

ND 2-O26

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 04.04.2018

მოქმედებაშია 04.04.2018

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის არევიზია ნაბეჭდი ანუ მის არ აქვს რევიზიის „ღირებულება“. რევიზიის ახლად დატანა პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარ შეთანხმებული ანუ ჩაითვლება როგორც „არაკორექტირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კორექტირებადი ანუ იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



1. ნორმატიული ბაზა

1. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ ND 1-01-01;
2. საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ ND 1-01-02;
3. საქართველოს კანონი „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ ND 1-01-04;
4. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდება ND 2-001;
5. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის შინაგანაწესი ND 2-002;
6. სტრუქტურული ერთეულების დებულების შემუშავების ინსტრუქცია ND 2-Q05-04.
7. საქმის წარმოება – ND 2-O12-1.
8. ხარისხის სახელმძღვანელო ND 2-Q03;
9. დოკუმენტების მართვის პროცედურა ND 2-Q04-01;
10. ჩანაწერების მართვის პროცედურა ND 2-Q04-02;
11. საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დებულება - ND 2-P08;
12. ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დებულება - ND 2-P09.

2. გამოყენებული ტერმინებისა და შემოკლებების განმარტებები

2.1. ტერმინები

1. **ნორმატიული დოკუმენტი** - შესაბამის მატარებელზე განთავსებული ინფორმაცია,
2. **სენატი** – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;
3. **რექტორი** – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის თავმჯდომარე;
4. **სტუდენტი** – პირი, რომელიც უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონითა და საზღვაო აკადემიის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად;
5. **აკადემიური პერსონალი** – პედაგოგთა და მკვლევართა პერსონალი, რომელიც კონკურსის წესით ირჩევა სენატის მიერ დადგენილი პირობებით და ვადით. აკადემიური პერსონალის შემადგენლობაში შედიან პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ პროფესორები და ასისტენტები;
6. **პროფესორი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
7. **ასოცირებული პროფესორი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა. ასოცირებული პროფესორი მონაწილეობს სასწავლო

ND 2-O26

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 04.04.2018

მოქმედებაშია 04.04.2018

მოქმედად არ მიაღწევა დოკუმენტის აქტიურობის ნაკვეთი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დროებითი გეგმპლანი“. რევიზია ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეზღუდვაში ასლი მიაღწევა როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხელი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;

8. **ასისტენტ-პროფესორი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში;
9. **ასისტენტი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით;
10. **მოწვეული მასწავლებელი** – პირი, რომელიც ფლობს უმაღლესი განათლების დიპლომს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საზღვაო აკადემია მათთან აფორმებს ერთსემესტრიან კონტრაქტს საათობრივი ანაზღაურების წესით და მათი კვალიფიკაციის შესაბამისად იწვევს სასწავლო კურსების ჩასატარებლად, უფლებამოსილია გაუძღვეს პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს (საჭიროების შემთხვევებში შეიძლება გაუძღვეს სალექციო კურსსაც) აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, ფაკულტეტის მიერ გამოცხადებულ სასწავლო კურსებზე (საათებზე). მოწვეულმა მასწავლებელმა შეიძლება დაიკავოს მასწავლებლის, ან უფროსი მასწავლებელი პოზიცია განათლების, გამოცდილებისა და დამსახურების შესაბამისად. მოწვეული მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება კონკურსის წესით, ხოლო მოწვევის შესახებ ბრძანებას ფაკულტეტის წარდგენით გამოსცემს აკადემიის რექტორი;

2.2. შემოკლებები.

1. **ND** – ნორმატიული დოკუმენტი;
2. **აკადემია** – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;
3. **ISO** – სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;

ND 2-O26

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 04.04.2018

მოქმედებაშია 04.04.2018

მოქმედებს არ ჩათვლება დოკუმენტის აქტიურობის ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დროებითი ვერსიის“ რევიზია ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



3. ძირითადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის (შემდგომში „ბსსა“ ან „აკადემია“) პლაგიატის პრევენციის, მისი გამოვლენის და რეაგირების წესს.
2. პლაგიატის პრევენციის, გამოვლენის და რეაგირების პროცესს აკადემიაში კოორდინაციას უწევს რექტორის ერთ-ერთი მოადგილე;
3. რექტორი უფლებამოსილია პლაგიატთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის, სტრატეგიის ჩამოყალიბების და რეაგირების მიზნით შექმნას ერთჯერადი ან მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფები (კომისია, კომიტეტი ან სხვ.);
4. აკადემიის პერსონალი ვალდებულია თავისი სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებისას იხელმძღვანელოს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებით და გაუფრთხილდეს აკადემიის პრესტიჟს;
5. პლაგიატის პრევენციის, გამოვლენის და რეაგირების პროცესზე პასუხისმგებელი პირი, რექტორის მოადგილე, უზრუნველყოფს ინფორმაციული ხასიათის ბეჭდური/ელექტრონული მასალის მოძიებას, მომზადებას, გაცნობას და გავრცელებას, როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ისე სტუდენტებისთვის;
6. პლაგიატის პრევენციის, გამოვლენის და რეაგირების პროცესზე პასუხისმგებელი პირი, რექტორის მოადგილე, უზრუნველყოფს სასწავლო წლის განმავლობაში არანაკლებ ერთჯერ ჩაატაროს გაცნობითი ღონისძიება, როგორც აკადემიური პერსონალისთვის (ექსკლუზიურად ახალი პრსონალისთვის), ისე სტუდენტებისთვის;
7. პლაგიატის პრევენციის, გამოვლენის და რეაგირების პროცესზე პასუხისმგებელი პირი, რექტორის მოადგილე უფლებამოსილია ფაკულტეტებზე განსაზღვროს შესაბამისი პასუხისმგებელი პირი და დაავალოს მას პლაგიატის შესახებ საინფორმაციო ღონისძიებების რეგულარული ჩატარება;
8. ფაკულტეტზე პლაგიატის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია მიიღოს ყველა სახის შესაბამისი ინფორმაცია, დაამუშავოს იგი და წერილობითი სახით აცნობოს პლაგიატის პრევენციის, გამოვლენის და რეაგირების პროცესზე

ND 2-O26

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 04.04.2018

მოქმედებაშია 04.04.2018

შეუქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის აგრეთვე ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიატი „ღირებულები ვე ვებზღვარი“. რევიზიატი ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკორექტირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



- პასუხისმგებელ პირს, რექტორის მოადგილეს, რომელიც უფლებამოსილია სიტუაციის შეფასების გზით, რექტორთა შეთანხმებით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება წარმოების შეწყვეტის შესახებ ან გადასცეს საკითხი დისციპლინური გადაცდომის განმხილველ კომისიას;
9. აკადემიის ორგანიზებით სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიების ჩატარებისას აფილირებული აკადემიური პერსონალის ნაშრომების მიმართ პლაგიატის კუთხით პრევენციას უზრუნველყოფს მასალების გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი კოლეგიალური სარედაქციო ორგანო;
 10. აკადემიასთან შრომით ურთიერთობებში ყოფნის პერიოდში აკადემიური თანამდებობის პირის მიერ პლაგიატის ფაქტზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა და სამომავლოდ შეიძლება გახდეს ხელახალი დასაქმების ხელშემშლელი გარემოება;
 11. მაგისტრატურის სტუდენტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის თემატიკის არჩევისას, მას მიეწოდება ინფორმაცია ნაშრომის მომზადების მოთხოვნებისა და ნორმების შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ ნაშრომს შემოწმდება პლაგიატზე და ასეთის არსებობის შემთხვევაში ნაშრომი არ დაიშვება დაცვაზე, ხოლო გამყალბების მიმართ გატარდება აკადემიაში მოქმედი ეთიკის კოდექსით და დისციპლინური პასუხისმგებლობის დებულებით დადგენილი ზომები;
 12. პლაგიატთან დაკავშირებული დისციპლინური წარმოება ხორციელდება დისციპლინური პასუხისმგებლობის დებულებით გათვალისწინებული წესით;
 13. პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში პასუხისმგებლობის ზომები განისაზღვრება დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით განსაზღვრული წესით და სახით;
 14. პლაგიატის პრევენციის, გამოვლენის და რეაგირების პროცესზე პასუხისმგებელი პირი, რექტორის მოადგილე ყოველი წლის დასასრულს სენატს წარუდგენს ანგარიშს პლაგიატის პრევენციის კუთხით გატარებული ღონისძიებების, გამოვლენილ შემთხვევებზე რეაგირების და მიღებული შედეგების შესახებ;
 15. საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული აღნიშნული წესით, რეგულირდება უფლებამოსილების ფარგლებში ფაკულტეტის საბჭოს ან სენატის გადაწყვეტილების შესაბამისად;
 16. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის

ND 2-026

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 04.04.2018

მოქმედებაშია 04.04.2018

შეუქმედად არ მიაღწევა დოკუმენტის აქტიურობის ნაკვეთი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დროებითი ვებ-პორტალი“. რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მიაღწევა როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტს და მასზე ხარისხის სამართლებრივი პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხელი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge



ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ინიციატივის საფუძველზე, სენატის გადაწყვეტილებით.

4. გავრცელების არე

- 4.1. დოკუმენტის ორიგინალი ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში;
- 4.2. დოკუმენტის ელექტრონული ვერსია (რომელიც წარმოადგენს დოკუმენტის საკონტროლო და აღრიცხულ ექზემპლარს) განთავსებულია www.office.bsma.edu.ge
- 4.3. დოკუმენტის აღრიცხული ექზემპლიარის დაგზავნას აწარმოებს ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახური outlook-ით (სამუშაო ფოსტით) და დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემის მეშვეობით

ND 2-O26

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 04.04.2018

მოქმედებაშია 04.04.2018

მოქმედად არ მიათვლება დოკუმენტის არეალი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის აღრიცხული ექზემპლარი. რევიზიის ასლზე დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მიათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე www.office.bsma.edu.ge